ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 46-13/5

ქ. თბილისი „2" „ივლისი" 2013წ.

1.ხელშეკრულების დამდები მხარეები
ერთი მხრივ, სსიპ "სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო", შემდგომში „შემსყიდველი", სააგენტოს უფროსის გია თვალავაძის სახით, და მეორე მხრივ, შ.პ.ს. „ინფოსერვისი" შემდგომში „მიმწოდებელი" ზურაბ თეთრაძის, სახით.

2.ხელშეკრულების საგანი და ღირებულება
შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ "სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსთვის" გამოყოფილი 2013 წლის ასიგნებების ფარგლებში, ელექტრონული პუბლიკაციის პროგრამული პაკეტის (CPV48312000) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება არაუმეტეს 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება").

3.შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები და ღირებულება:
3.1. გასაწევი მომსახურების აღწერილობა განისაზღვრება დანართი N2–ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.2. მომსახურების ღირებულება:

N	შესყიდვის ობიექტი (მომსახურების სახეობა)	მომხმარებელთა რაოდენობა	ერთი თვის ღირებულება (ლარი)		სულ ღირებულება (ლარი)
			1 მომხმარებელზე	50 მომხმარებელზე	
1	საქიეგო ელექტრონული სისტემით მომსახურება ლოკალურ მომხმარებელზე	50	6 ლარი	300 ლარი	1500

4.მომსახურების გაწევის პირობები
4.1 ვადები:
4.1.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

5.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ყოველთვიურად, წინამდებარე ხელშეკრულების მე-14 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი (დანართი N1) სამ ეგზემპლარად.

6.ანგარიშსწორების პირობები
6.1. ანგარიშსწორების ფორმა–უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში;
6.2. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ყოველთვიურად, მომსახურების გაწევის შემდეგ, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის (დანართი N1) (ან წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის საფუძველზე), გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

7.მხარეთა ვალდებულებები
7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:
7.1.1 წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად განახორციელოს „შემსყიდველის" ხარისხიანი და გარანტირებული მომსახურება;
7.1.2 დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1 დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია მომსახურების გაწევასთან და ხელშეკრულების შესრულებასთან.

8.მხარეთა უფლებები

8.1 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1 მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება ხელშეკრულების პირობების მიხედვით.

8.2 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1 აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის და მოცულობის კონტროლი;

9.ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი,, ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ.

10.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3 ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის გაუქმება არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

11.სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოქმნება ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

12.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ხუთი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაანგარიშებით.

13.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14.ინსპექტირების პირობები

ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორი – სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“ ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო საბიუჯეტო სამმართველოს უფროსი სპეციალისტი რევაზ კვაჭანტირაძე.

15.განსაკუთრებული პირობები

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

15.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2013 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით.

15.3 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (5 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

15.4 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, მეორე "შემსყიდველთან“.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო“ ქ. თბილისი, წერეთლის გამზ №144, სახელმწიფო ხაზინა, ანგN200122900	შპს "ინფოსერვისი" ქ. თბილისი, ე. ბეჟანიშვილის ქ №49. ს/კ №200001229 სს „ბანკი რესპუბლიკა“, REPLGE22,
საიდენტიფიკაციო კოდი 205035120	ანგN GE31BR0600003608002037
გია თვალავაძე სააგენტოს უფროსი	ზურაბ თეთრაძე გენერალური დირექტორი

საინფორმაციო საძიებო სისტემაში „კოდექსი 2007 ოფისი“ შედის შემდეგი სახის ინფორმაცია:

საქართველოს კონსტიტუციას;
- საქართველოს პარლამენტის კანონებს და დადგენილებებს;
- საქართველოს პრეზიდენტის (პარლამენტის თავმჯდომარე-სახელმწიფო მეთაურის) ბრძანებულებებს და განკარგულებებს;
- საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების განჩინებებს, გადაწყვეტილებებსა და პლენუმის დადგენილებებს;
- საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის (მინისტრთა საბჭოს, მინისტრთა კაბინეტის) ძირითად დადგენილებებს;
- საქართველოს ეროვნული ბანკის, საგადასახადო სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ მიღებულ ძირითად კანონქვემდებარე და ნორმატიულ აქტებს (დადგენილებები, ინსტრუქციები, დებულებები, მითითებები, წერილები, და ა.შ.);
- ქ. თბილისის საკრებულოსა და მერიის საქალაქო კოლეგიის გადაწყვეტილებებს, აგრეთვე მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილებებს;
- საბაჟო სამსახურის და სხვა სამინისტროების მრავალ დოკუმენტს.
- საქართველოს მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებები, შეთანხმებები, ოქმები, დეკლარაციები, მრავალმხრივი ხელშეკრულებები, საერთაშორისო კონვეციები.

საძიებო სისტემაში ძებნა შეიძლება შემდეგი პარამეტრების მიხედვით;

ძირეული სიტყვა;
დოკუმენტის ნომერი;
თარიღის ინტერვალი;
მიმღები ორგანო;
დოკუმენტის ტიპი;
თემატიკა;
საკვანძო სიტყვა;

საძიებო სისტემის განახლება მოხდება ყოველკვირეული (ორშაბათობით) ახალი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მიღების შესაბამისად;
კოდიფიცირებული მომსახურება მოიცავს ხელშეკრულების გაფორმებამდე 1 კვირით ადრე მიღებულ მოქმედ და კოდიფიცირებულ საქართველოს ყველა კანონსა და კოდექს;
საძიებო სისტემის განახლების მომსახურება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით;
მომსახურების გაწევის ადგილი - ქ. თბილისი, წერეთლის გამზ№144.

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო“ ქ. თბილისი, წერეთლის გამზ №144, სახელმწიფო ხაზინა, ანგN200122900	შპს "ინფოსერვისი" ქ. თბილისი, ე. ბეჟანიშვილის ქ №49. ს/კ №200001229 სს „ბანკი რესპუბლიკა“, REPLGE22,
საიდენტიფიკაციო კოდი 205035120	ანგN GE31BR0600003608002037
გია თვალავაძე სააგენტოს უფროსი	ზურაბ თეთრაძე გენერალური დირექტორი

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსთვის“ გამოყოფილი 2013 წლის ასიგნების ფარგლებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის
მიღება ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი „___“ „_____“ 2013 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, შემსყიდველი საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“ **უფროსი** **გია თვალავაძე**

და მეორეს მხრივ, მიმწოდებელი:

_____

(ორგანიზაციის სახელი)

_____

(ხელმძღვანელის თანამდებობა: სახელი, გვარი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ

2013 წ „_____“ „_____“ № _____ ხელშეკრულების პირობის შესაბამისად გაწეულია მომსახურება.

(ხელშეკრულების თარიღი და ნომერი)

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს:

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

გაწეული მომსახურების ღირებულებამ

შეადგინა:

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით გაწეულია:

ანაზღაურებულია:

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მომსახურება მიიღო:

1. ხელმძღვანელი
2. პასუხისმგებელი შესრულებაზე

მომსახურება ჩააბარა:

1. ხელმძღვანელი